

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

13 . 03. 2017 წელი

ეგზ. N1

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის აპარატი

ფინანსური აუდიტის ანგარიში N 9/36

2016 წლის 1 იანვარი - 2016 წლის 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

ზოგადი ინფორმაცია.....	3
დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ.....	4
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.....	4
აუდიტორის პასუხისმგებლობა	4
უპირობო მოსაზრება	5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა.....	5
ურთიერთგაგების მემორანდუმი.....	5
ადამიანური რესურსების მართვა	6
სახელმწიფო ერთეულებს შორის აქტივის უსასყიდლოდ გადაცემა	8
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა.....	9
ხარჯები	10
არაფინანსური აქტივების ზრდა	13
ვალდებულებების კლება.....	13
მოთხოვნები და ვალდებულებები.....	14
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები.....	15


ზოგადი ინფორმაცია

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობა არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა შედგება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან. მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვაგვარი საქმიანობის უზრუნველყოფის, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი. მთავრობის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ხოლო მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საბალანსო მონაცემებით, ორგანიზაციის წმინდა ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 7,118.2 ათას ლარს. მთავრობის აპარატი ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან (იხ. დიაგრამა 1).



დიაგრამა 1. ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების შესახებ (ათას ლარში)

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსს 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშებს. აუდიტი მოიცავს შემდეგ ანგარიშებს: ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით, ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში ფინანსური აქტივებით და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ, ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ, ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ და ანგარიში ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ. აუდიტი ასევე მოიცავს ანგარიშს ეკონომიკური ნაკადების შედგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების შესახებ.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის N364 ბრძანების „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნეს გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობებს.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიული განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამართლიანი და უტყუარი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია უპირობო აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

უპირობო მოსაზრება

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ფინანსურ მდგომარეობას 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მთავრობის აპარატის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ სააღრიცხვო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით.

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

ურთიერთგაგების მემორანდუმი

2015 წლის 24 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობასა და შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ შორის გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი. მემორანდუმის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ გამოხატა მზადყოფნა 1989 წლის 19 აპრილის სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის საბინაო პრობლემების მოსაგვარებლად. მემორანდუმის თანახმად, მხარეებმა, სხვა საკითხებთან ერთად, მიაღწიეს ურთიერთგაგებას, რომ სოფლების წაბლანისა და წაბლიანის მოსახლეობის მიერ დაფუძნებულ ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის, გაუწევს თანადაფინანსებას 1,550.0 ათასი ლარის ოდენობით. ამასთან, ამხანაგობა „წაბლანა-2015“ იღებს ვალდებულებას, პროექტის თითოეული ეტაპის დასრულებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატს მიაწოდოს ინფორმაცია პროექტის განხორციელებისა და

შესრულების შესახებ, რაც დადასტურებული უნდა იქნეს დამოუკიდებელი აუდიტის ან/და შესაბამისი დარგის უფლებამოსილი პირის მიერ. მემორანდუმში აღნიშნულია, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ თანადაფინანსების თანხის გაცემასთან დაკავშირებული ვალდებულება უპირობოდ კარგავს ძალას, თუ ადგილი ექნება შპს „აჭარისწყალი ჯორჯიას“ ან მის მიერ დაქირავებული კონტრაქტორისათვის საქმიანობის ხელშეშლას დაზარალებული სოფლების ტერიტორიაზე.

2016 წლის 21 იანვარის მდგომარეობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატმა ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს სრულად გადაურიცხა 1,550.0 ათასი ლარი¹, მათ შორის 400.0 ათასი ლარი² - 2015 წელს. ამასთან, ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს, მემორანდუმის გაფორმებამდე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით³, პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ერთ ლარად საკუთრებაში გადაეცა 5 001 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქალაქ ბათუმში.

მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ამხანაგობა „წაბლანა-2015“-ს საჭირო ფინანსების უქონლობის გამო მშენებლობის გაგრძელების პრობლემა შეექმნა 2016 წლის ივნისიდან. ჯერ კიდევ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2015 წლის ფინანსური აუდიტის ანგარიშში აღინიშნა, რომ საკუთრებაში გადაცემული მიწის ნაკვეთის და ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების მიზნობრივი ადმინისტრირების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, ურთიერთგაგების მემორანდუმით განსაზღვრული იყოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ვადები, მისი განხორციელების ეტაპები, მშენებლობის გაჭიანურების, უკიდურეს შემთხვევაში, დაუსრულებლობის შემთხვევაში, პასუხისმგებლობისა და ბენეფიციართა ეფექტური დაცვის მექანიზმები. აღნიშნული მექანიზმების არარსებობის პირობებში, მშენებლობის მიმდინარე მდგომარეობის გათვალისწინებით, მაღალია პროექტის განუხორციელებლობის რისკი, რამაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნას ბენეფიციართა საბინაო პრობლემების მოგვარებას და წარმოქმნას საჯარო ქონების, მათ შორის, ფინანსების არამართლზომიერი გამოყენების შესაძლებლობა.

ადამიანური რესურსების მართვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 მარტის N10 დადგენილების შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრება 118 საშტატო ერთეულით.

შრომის ანაზღაურება


აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის შრომის ანაზღაურების მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 2,393.8 ათასი ლარი, საიდანაც 1,302.0 ათასი ლარი წარმოადგენს თანამდებობრივ სარგოს, 408.3 ათასი ლარი - პრემიას, ხოლო 683.6 ათასი ლარი - დანამატს.

¹ საგადახდო მოთხოვნა N00009, 21/01/2016 წ. (1,150.0 ათასი ლარი)

² საგადახდო დავალება N03940, 31/08/2015 წ. (400.0 ათასი ლარი)

³ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N115, 08/05/2015 წ.

2015 წელთან მიმართებაში თანამდებობრივი სარგოს ხარჯები შემცირებულია 26.6 ათასი ლარით, ხოლო დანამატის - 16.4 ათასი ლარით. თანამდებობრივი სარგოსა და დანამატის მოცულობის შემცირება გამოწვეულია მთავრობის აპარატის საშატატო ნუსხის სხვადასხვა პოზიციაზე არსებული ვაკანსიებით⁴. 2015 წელთან მიმართებაში 23.7%-ით (78.2 ათასი ლარით) გაზრდილია პრემიის მოცულობა. შედეგად, 2015 წელთან მიმართებაში შრომის ანაზღაურების მთლიანი ხარჯი გაზრდილია 35.2 ათასი ლარით (იხ. დიაგრამა 2).



დიაგრამა 2. ინფორმაცია შრომის ანაზღაურების ხარჯების შესახებ (ათას ლარში)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე, 2016 წლის განმავლობაში, პრემია გაცემულია ექვსჯერ. პრემია გაიცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საპრემიო კომისიის საოქმო გადაწყვეტილების გათვალისწინებით. შესაბამის ოქმებში, პრემიის გაცემის საფუძვლად მითითებულია საჯარო მოსამსახურეების ფუნქციური დატვირთვა, შესრულებული სამუშაო მოცულობა, კვალიფიკაცია და ა. შ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე ყოველთვიურად გაცემულია დანამატი თანამდებობრივი სარგოს 40-დან 75%-მდე, დაკავებული თანამდებობების შესაბამისად. დანამატის ზღვრული მოცულობები განსაზღვრულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 იანვრის N4 განკარგულებით⁵. მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე, დანამატები შეიძლება გაიცეს

⁴ 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთავრობის აპარატის საშატატო ნუსხის 16 პოზიციაზე არსებობდა ვაკანსია

⁵ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 იანვრის განკარგულება N4 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

სათანადო გარემოებების არსებობისას, დაწესებულების ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, არაუმეტეს განსაზღვრული ზღვრული მოცულობებისა. 2016 წლის განმავლობაში, მთავრობის აპარატის საჯარო მოსამსახურეებზე, სულ გაცემულია 683.6 ათასი ლარის ოდენობის დანამატი. აუდიტის ობიექტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი დანამატების გაცემის მატერიალური კანონიერების (ზეგანაკვეთური ან/და განსაკუთრებით საპასუხისმგებლო სამუშაოს შესრულების) დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დანამატების გაცემაზე, განსხვავებით 2015 და 2017 წლისა⁷, არ არის გამოცემული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის შესაბამისი ბრძანება.

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მთლიანმა ხარჯმა შეადგინა 54.8 ათასი ლარი. 2016 წლის განმავლობაში, სხვადასხვა პერიოდულობით შტატგარეშე მოსამსახურის მოვალეობებს ასრულებდა 6 პირი. 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მათი რაოდენობა შემცირებულია ორამდე. შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, თითქმის იდენტურ პოზიციებზე, მკვეთრად განსხვავებულია ხელფასი. მაგ. ეკონომიკური განვითარების საბჭოს მრჩეველის ეკონომიკისა და ინვესტიციების საკითხებში ხელფასი შეადგენს 250 ლარს, ხოლო ეკონომიკური განვითარების საბჭოს მრჩეველის აგრარულ საკითხებში ხელფასი - 1750 ლარს. 2015 წელთან მიმართებაში, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების 2016 წლის ხარჯების მოცულობა შემცირებულია 10.5 ათასი ლარით.

სახელმწიფო ერთეულებს შორის აქტივის უსასყიდლოდ გადაცემა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის 2016 წლის 23 მარტის N19 ბრძანებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული, 91.6 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების Microsoft-ის პროგრამული უზრუნველყოფები, არსებობის ვადით, გადაეცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოს. განხორციელებული

მთავრობის აპარატის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, მთავრობისა და სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებების და მათი ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთათვის გასაცემი დანამატების ზღვრული მოცულობების განსაზღვრის შესახებ“

⁶ შესაბამის პერიოდში მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლი; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 20 იანვრის განკარგულება N4 „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, მთავრობისა და სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებების და მათი ტერიტორიული ორგანოების საჯარო მოსამსახურეთათვის გასაცემი დანამატების ზღვრული მოცულობების განსაზღვრის შესახებ“

⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N10, 21/01/2015 წ.; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N13, 25/01/2017 წ.

გადაცემა, მოქმედი რეგულაციებიდან გამომდინარე⁸, წარმოადგენს კაპიტალური გრანტს, თუმცა ორგანიზაციის საბუღალტრო დოკუმენტაციაში ოპერაცია ასახულია, როგორც სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები.

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი განისაზღვრა 4,724.2 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებული ბიუჯეტი - 4,529.2 ათასი ლარით. მთავრობის აპარატის 2016 წლის მთლიანმა საკასო ხარჯმა შეადგინა 4,158.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 91.9%-ია (იხ. ცხრილი 1).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული ბიუჯეტი	საკასო შესრულება	გადახრა (დაზუსტებული - საკასო)	დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულების პროცენტი
ხარჯები	4,550,960	4,405,206	4,135,526	269,680	93.9
შრომის ანაზღაურება	2,497,200	2,491,742	2,393,775	97,967	96.1
საქონელი და მომსახურება	867,800	715,410	558,260	157,150	78.0
გრანტები	15,000	15,000	9,527	5,473	63.5
სოციალური უზრუნველყოფა	0	5,458	5,457	1	100.0
სხვა ხარჯები	1,170,960	1,177,596	1,168,507	9,089	99.2
არაფინანსური აქტივების ზრდა	160,000	110,000	8,624	101,376	7.8
ვალდებულებების კლება	13,272	14,026	14,026	0	100.0
სულ:	4,724,232	4,529,232	4,158,175		91.8

ცხრილი 1. ინფორმაცია რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების შესახებ (ლარში)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის დაფინანსებიდან, 4,148.6 ათასი ლარის გადახდა განხორციელებულია „მთავრობის უფლებამოსილების განხორციელების ხელშეწყობის“ პროგრამის ფარგლებში⁹, ხოლო 9.5 ათასი ლარი - საწევროებიდან საერთაშორისო ორგანიზაციებში¹⁰.


⁸ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის 38-ე მუხლის მე-5 პუნქტი

⁹ ბიუჯეტის ორგანიზაციული კოდი 03 01

¹⁰ ბიუჯეტის ორგანიზაციული კოდი 09 04 („აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლი)

ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის ხარჯების ბიუჯეტი განისაზღვრა 4,551.0 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 4,405.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 4,135.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 93.9%-ია. 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის ხარჯების მთლიანი მოცულობა გაზრდილია 671.6 ათასი ლარით (19.4%-ით). ხარჯების წილობრივი გადანაწილების თაობაზე იხ. დიაგრამა 3.




დიაგრამა 3. ინფორმაცია მთავრობის აპარატის ხარჯების წილობრივი გადანაწილების თაობაზე (პროცენტებში)

შრომის ანაზღაურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის შრომის ანაზღაურების ხარჯების მდგომარეობა წარმოდგენილია მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის პარაგრაფში.

საქონელი და მომსახურება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის საქონელი და მომსახურების მუხლით გასაწევი ხარჯების ბიუჯეტი განისაზღვრა 867.8 ათასი ლარით. დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 715.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 558.3 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 78.0%-ია. 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის საქონელი და მომსახურების ხარჯების მთლიანი მოცულობა შემცირებულია 130.8 ათასი ლარით (19.0%-ით). საქონელი და მომსახურების ხარჯების საკასო შესრულების თაობაზე იხ. დიაგრამა 4.



დიაგრამა 4. ინფორმაცია საქონელი და მომსახურების ხარჯების საკასო შესრულების შესახებ (ლარში)

შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების 2016 წლის ხარჯების მდგომარეობა წარმოდგენილია მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის პარაგრაფში.

მივლინება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის მივლინებების საკასო ხარჯმა შეადგინა 72.8 ათასი ლარი, მათ შორის, მივლინებამ ქვეყნის შიგნით - 16.5 ათასი ლარი, ხოლო მივლინებამ ქვეყნის გარეთ - 56.3 ათასი ლარი. ქვეყნის გარეთ მივლინებების ხარჯის 46% (25.9 ათასი ლარი) გაწეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 7 თანამშრომლის ერთ მივლინებაზე პოლონეთის რესპუბლიკის ქალაქ ვროცლავში (2016 წლის 22 თებერვლიდან 2 მარტის ჩათვლით)¹¹, ბიზნეს-ფორუმის „ვროცლავი-ბათუმი“ ჩატარებისა და ოფიციალური შეხვედრების გამართვის მიზნით¹². 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის მივლინებების საკასო ხარჯი შემცირებულია 39.5%-ით.

ოფისის ხარჯები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ოფისის ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 214.7 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 208.6 ათასი ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 6.0 ათას ლარს. 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის ოფისის ხარჯები გაზრდილია 4.4%-ით.

¹¹ მივლინებულთა უმრავლესობა 2016 წლის 24 თებერვლიდან 1 მარტის ჩათვლით

¹² აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N5, 10/02/2016 წ.

წარმომადგენლობითი ხარჯები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის წარმომადგენლობითი ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 121.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 118.8 ათასი ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 2.9 ათას ლარს. საკასო ხარჯის მეტობა გამოწვეულია წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით შეძენილი ფასეულობების 2016 წლის 31 დეკემბრისთვის საწყობში გაუხარჯავი ნაშთის არსებობით. 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის წარმომადგენლობითი ხარჯები შემცირებულია 42.6%-ით.

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 0.3 ათასი ლარი. 2015 წელს აღნიშნული ხარჯი მთავრობის აპარატს არ გაუწევია.

ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები. ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯების საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 74.0 ათასი ლარი, საიდანაც 45.9 ათასი ლარი გაწეულია საწვავ-საპოხი მასალების შესაძენად, ხოლო 28.1 ათასი ლარი წარმოადგენს სათადარიგო ნაწილების და თანმდევი მომსახურების ხარჯს. 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები გაზრდილია 7.0%-ით.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება. სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების საკასო ხარჯმა შეადგინა 20.2 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 20.7 ათასი ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 0.7 ათას ლარს. 2015 წელთან მიმართებაში, 2016 წლის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯები გაზრდილია 20.3%-ით.

გრანტები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 გრანტების მუხლით გასაწევი ხარჯების დამტკიცებულმა და დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 15.0 ათასი ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა - 9.5 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 63.5%-ია. გრანტების მუხლით დაფინანსებულია ევროპის რეგიონთა ასამბლეაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის საწევრო¹³.

¹³ „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-14 მუხლი

სოციალური უზრუნველყოფა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის სოციალური უზრუნველყოფის 2016 წლის დაზუსტებულმა ბიუჯეტმა, საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა შეადგინა 5.5 ათასი ლარი.

სხვა ხარჯები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის ბიუჯეტით სხვა ხარჯების გეგმა განისაზღვრა 1,171.0 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 1,177.6 ათასი ლარი. 2016 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სხვა ხარჯების მუხლით განხორციელებულმა გადახდამ შეადგინა 1,168.5 ათასი ლარი, ხოლო ფაქტობრივმა ხარჯმა - 1,260.1 ლარი. გადახრა საკასო და ფაქტობრივ ხარჯს შორის შეადგენს 91.6 ათას ლარს, რაც გამოწვეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ბალანსზე რიცხული, 91.6 ათასი ლარის ნარჩენი ღირებულების Microsoft-ის პროგრამული უზრუნველყოფების, არსებობის ვადით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება - საარქივო სამმართველოსთვის გადაცემით¹⁴.

სხვა ხარჯების დაფინანსების ძირითადი ნაწილი - 1,150.0 ათასი ლარი¹⁵ მიმართულია მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის პარაგრაფში განხილული, ურთიერთგაგების მემომანდუმის საფუძველზე განხორციელებული გადახდით.

არაფინანსური აქტივების ზრდა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის ბიუჯეტით, არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა განისაზღვრა 160.0 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 110.0 ათასი ლარი, გადახდამ - 8.6 ათასი ლარი. აუდიტის ობიექტის ინფორმაციით, გეგმით გათვალისწინებული იყო ორი ერთეული მსუბუქი ავტომობილისა და ერთი ერთეული დიზელ-გენერატორის შესყიდვა, რაც არ განხორციელებულა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნებიდან გამომდინარე.

ვალდებულებების კლება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის 2016 წლის ბიუჯეტით, ვალდებულებების კლების გეგმა განისაზღვრა 13.3 ათასი ლარით, ხოლო დაზუსტებულმა გეგმამ და გადახდამ შეადგინა 14.0 ათასი ლარი. აღნიშნული დაფინანსებიდან 0.7 ათასი ლარი მიმართული იქნა მივლინებით წარმომოხილი ვალდებულებების დასაფარად, ხოლო 13.3 ათასი ლარი - სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე¹⁶, სარჩოს თანხის ანაზღაურების მიზნით¹⁷.

¹⁴ საკითხი განხილულია მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმის პარაგრაფში

¹⁵ სხვა ხარჯების 98.4%

¹⁶ ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 28 ნოემბრის N3-194/14 გადაწყვეტილება

¹⁷ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანება N141, 10/05/2016 წ.; აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის უფროსის ბრძანება N30, 17/05/2016 წ.

მოთხოვნები და ვალდებულებები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის მოთხოვნების მოცულობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 9.5 ათას ლარს, რაც წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის საწევროს ევროპის რეგიონთა ასამბლეაში¹⁸.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის ვალდებულებების მოცულობა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0.8 ათას ლარს¹⁹.

ჰენრი სანიკიძე

/უფროსი აუდიტორი, ჯგუფის ხელმძღვანელი/

გურამ დუმბაძე

/უფროსი აუდიტორი/

მინდია ჯორთმენაძე

/აუდიტორი/

მარინე პრიხოდკო

/აუდიტორ-ასისტენტი/

13 მარტი 2017 წელი

¹⁸ მოთხოვნის წარმოშობის თარიღი: 28/12/2016 წ.

¹⁹ ვალდებულების წარმოშობის თარიღი: 28/12/2016 წ.

ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

ფინანსური აქტივები და მოთხოვნები				
010	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	1110		
020	ნაღდი ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	1120		
030	მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1211		
040	მიმდინარე ანგარიში ბანკში უცხოურ ვალუტაში	1212		
050	სხვა ანგარიშები ბანკში	1220		
060	მიმდინარე ანგარიში არასაბიუჯეტო სახსრებისათვის ხაზინაში	1230		
160	წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1340		
210	მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით	1355		
220	გადახდილი დღგ	1356		
230	წინასწარ გადახდილი მოგების გადასახადი	1357		
240	სხვა საგადასახადო აქტივი	1358		
250	მოთხოვნები ფულადი სახსრების დანაკლისებით	1359		
260	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1360		
270	მოთხოვნები ბარტერით	1410		
280	მოთხოვნები სადაზღვევო კომპანიების მიმართ	1420		
290	მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1431	38	
300	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	1432		
310	მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	1440		
320	ანგარიშვალდებული პირების მიმართ მოთხოვნები	1450		
330	მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	1460		
340	მოთხოვნები წინასწარ გადახდილი გადასახდელებით	1470		9,527
350	სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	1480		
360	გრძელვადიანი სესხები	1510		
370	აქციები და სხვა კაპიტალი	1520		
380	სხვა გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	1530		
390	სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები	1540		

არაფინანსური აქტივები				
400	სტრატეგიული მარაგები	1620		
410	სხვა მატერიალური მარაგები	1620	73,524	75,357
420	შენობა-ნაგებობები	2110	6,729,224	6,659,118
430	მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	2120	380,108	292,540
440	სხვა ძირითადი აქტივები	2130	177,389	76,108
450	დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები	2141		
460	საოპერაციო იჯარით მიღებული ქონების არსებითი გაუმჯობესება	2142		
470	გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	983	6,380
480	ფასეულობები	2300		
490	არაწარმოებული აქტივები	2400		
ბალანსი			7,361,265	7,119,030

ვალდებულებები				
500	მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100		
510	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3210		837
520	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები	3220		
530	ვალდებულებები ზარტერით	3230		
540	გადასახდელი მოგების გადასახადი	3241		
550	გადასახდელი დღგ	3242		
560	გადასახდელი სამემოსავლო გადასახადი	3243		
610	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის შიგნით	3253	60	
620	ვალდებულებები მივლინებით ქვეყნის გარეთ	3254	694	
630	დამქირავებლის მიერ ფულადი ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3255		
640	დამქირავებლის მიერ სასაქონლო ფორმით გაწეული სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3256		
650	ვალდებულებები ორგანიზაციის მომუშავეების ხელფასებიდან დაკავებული თანხებით	3257		
660	გადასახდელი სტიპენდიები	3258		
670	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	3259		
680	ვალდებულებები დეპონენტების მიმართ	3260		
690	სოციალური დახმარებით დარიცხული ვალდებულებები	3270		
700	სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3280	13,272	
710	გრძელვადიანი ვალდებულებები სესხები	3310		
720	სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	3320		
730	საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3331		
740	არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3332		
750	სხვა გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	3333		
კაპიტალი				
760	წმინდა ღირებულება	5100	7,347,239	7,118,193
770	საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი	5210		
780	გაუნაწილებელი მოგება	5220		
790*	დაუფარავი ზარალი	5230		
ბალანსი			7,361,265	7,119,030
საცნობარო მუხლი				
800	საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები	01		
810	პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები	02		
820	გადახდის უუნარო დებიტორებზე ჩამოწერილი დავალიანება	03		
830	ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში	04	102,949	101,270
870	ამორტიზირებული ძირითადი აქტივები	08	554,259	489,910
880	ვადაგადაცილებული დავალიანებები	09		
890	ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	10	31,042	39,985

ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

სტ რ. კო დი	ხარჯების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებ ული გეგმა	დაზუსტებუ ლი გეგმა	ვალდებულ ება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)	ფაქტობრი ვი ხარჯი	გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის (9-8)
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
010	1. ხარჯები	2	4,550,960	4,405,206	4,276,677	4,135,526	4,135,526	4,393,188	257,663
020	1.1 შრომის ანაზღაურება	21	2,497,200	2,491,742	2,491,742	2,393,775	2,393,775	2,393,775	
030	1.1.1 ხელფასები	211			2,491,742	2,393,775	2,393,775	2,393,775	
040	1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით	2111			2,491,742	2,393,775	2,393,775	2,393,775	
050	1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო	21111			1,360,162	1,301,970	1,301,970	1,301,970	
060	1.1.1.1.2 წოდებრივი სარგო	21112							
070	1.1.1.1.3 პრემია	21113			413,068	408,250	408,250	408,250	
080	1.1.1.1.4 დანამატი	21114			718,512	683,555	683,555	683,555	
090	1.1.1.1.5 ჰონორარი	21115							
100	1.1.1.1.6 კომპენსაცია	21116							
150	1.2 საქონელი და მომსახურება	22	867,800	715,410	595,557	558,260	558,260	550,029	-8,232
160	1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება	221			57,000	54,795	54,795	54,795	
170	1.2.1.2 მივლინებები	222			107,610	72,812	72,812	72,812	
180	1.2.1.3 ოფისის ხარჯები	223			214,654	214,654	214,654	208,631	-6,023
190	1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები	224			121,922	121,628	121,628	118,789	-2,838
220	1.2.1.7 რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	227			317	317	317	292	-25
230	1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯი	228			74,026	74,026	74,026	74,026	
250	1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება	2210			20,029	20,029	20,029	20,684	655
260	1.3 ძირითადი კაპიტალის მოხმარება	23						183,831	183,831
270	1.4 პროცენტი	24							

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
350	1.5 სუბსიდიები	25							
360	1.6 გრანტები	26	15,000	15,000	15,000	9,527	9,527		-9,527
370	1.6.1 გრანტები უცხო სახელმწიფოთა მთავრობებს	261							
380	1.6.1.1 მიმდინარე	2611							
390	1.6.1.2 კაპიტალური	2612							
400	1.6.2 გრანტები საერთაშორისო ორგანიზაციებს	262	15,000	15,000	15,000	9,527	9,527		-9,527
410	1.6.2.1 მიმდინარე	2621	15,000	15,000	15,000	9,527	9,527		-9,527
420	1.6.2.2 კაპიტალური	2622							
430	1.6.3 გრანტები სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებს	263							
440	1.6.3.1 მიმდინარე	2631							
450	1.6.3.2 კაპიტალური	2632							
460	1.7 სოციალური უზრუნველყოფა	27		5,458	5,457	5,457	5,457	5,457	
530	1.7.3 დამკირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება	273			5,457	5,457	5,457	5,457	
540	1.7.3.1 ფულადი ფორმით	2731			5,457	5,457	5,457	5,457	
550	1.7.3.2. სასაქონლო ფორმით	2732							
560	1.8 სხვა ხარჯები	28	1,170,960	1,177,596	1,168,920	1,168,507	1,168,507	1,260,096	91,590
570	1.8.1 ქონებასთან დაკავშირებული ხარჯები, გარდა პროცენტისა	281							
580	1.8.1.1 დივიდენდები	2811							
590	1.8.1.2 კვაზი-კორპორაციების შემოსავლებიდან ამოღებული თანხები	2812							
610	1.8.1.4 რენტა	2814							
620	1.8.2 სხვადასხვა ხარჯები	282			1,168,920	1,168,507	1,168,507	1,260,096	91,590
630	1.8.2.1 მიმდინარე	2821			18,920	18,507	18,507	18,507	
640	1.8.2.2 კაპიტალური	2822			1,150,000	1,150,000	1,150,000	1,241,590	91,590

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი	კოდი	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
010	1. არაფინანსური აქტივები	31	160,000	110,000	8,624	8,624	8,624
020	1.1 ძირითადი აქტივები	311			8,624	8,624	8,624
030	1.1.1 შენობა-ნაგებობები	3111					
040	1.1.1.1 საცხოვრებელი შენობები	31111					
050	1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	31112					
150	1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	3112			8,624	8,624	8,624
160	1.1.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	31121					
170	1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	31122			8,624	8,624	8,624
180	1.1.3 სხვა ძირითადი აქტივები	3113					
200	1.1.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	31132					
230	1.2 მატერიალური მარაგები	312					
240	1.2.1 სტრატეგიული მარაგები	3121					
250	1.2.2 სხვა მატერიალური მარაგები	3122					
260	1.2.2.1 ნედლეული და მასალები	31221					
310	1.4 არაწარმოებული აქტივები	314					
320	1.4.1 მიწა	3141					
330	1.4.2 წიაღისეული	3142					
340	1.4.3 სხვა ზუნებრივი აქტივები	3143					
370	1.4.4 არაწარმოებული არამატერიალური აქტივები	3144					

ორგანიზაციის ანგარიში ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ

სტრიქონის კოდი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჩამონათვალი	ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ოპერაციების კოდები	დამტკიცებული გეგმით	დაზუსტებული გეგმით	ვალდებულება	მოთხოვნა	გადახდა (საკასო ხარჯი)
10	1. ფინანსური აქტივები	32					
20	1.1 საშინაო	321					
100	1.2 საგარეო	322					
180	1.3 მონეტარული ოქრო და ნასესხობის სპეციალური უფლება	323					
190	2. ვალდებულებების კლება	33	13,272	14,026	14,026	14,026	14,026
200	2.1 საშინაო	331	13,272	14,026	14,026	14,026	14,026
270	2.1.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3318	13,272	14,026	14,026	14,026	14,026
280	2.2 საგარეო	332					
290	2.2.1 ვალუტა და დეპოზიტები	3322					
300	2.2.2 ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	3323					
310	2.2.3 სესხები	3324					
320	2.2.4 აქციები და სხვა კაპიტალი (მხ. სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები)	3325					
330	2.2.5 სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	3326					
340	2.2.6 წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	3327					
350	2.2.7 სხვა კრედიტორული დავალიანებები	3328					

ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

ანგარიშის N	დებიტი	თანა	ანგარიშის N	კრედიტი	თანა
	ნაშთი წლის დასაწყისისათვის			ნაშთი წლის დასაწყისისათვის	7,347,239
7100	მომუშავეთა ანაზღაურება	2,393,775	4100	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	4,158,175
7200	საქონელი და მომსახურება	550,029	4200	ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიებისა და დახმარებების გასაცემად	
7300	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	183,831			
7310	მ. შ. ფიზიკური ცვეთა	183,831	6000	შემოსავლები	
7400	პროცენტი		6300	მ. შ. გრანტები	
7500	სუბსიდიები				
7600	გრანტები				
7700	სოციალური უზრუნველყოფა	5,457			
7800	სხვა ხარჯები	1,260,096			
8200	არასაოპერაციო ხარჯი	3,409	8100	არასაოპერაციო შემოსავალი	9,376
3245	ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები				
	სადებიტო ბრუნვა	4,396,597		საკრედიტო ბრუნვა	4,167,551
-	სულ ჯამი	4,396,597	-	სულ ჯამი	11,514,790
-	ნაშთი პერიოდის ბოლოს		-	ნაშთი პერიოდის ბოლოს	7,118,193

ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

სტრ. კოდი	არაფინანსური აქტივების დასახელება	ნაშთი წლის დასაწყ	მიღება								
			შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	ბარტერი	არასაოპერაციო შემოსავლებით	გრანტებით	სხვა შემოსავლებით	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	დანაკლისის აღდგენით	სხვა მიღებები
010	1. მატერიალური მარაგები	73,523		153,636							
020	1.1. სტრატეგიული მარაგები										
030	1.2. სხვა მატერიალური მარაგები	73,523		153,636							
080	1.2.5 ფულადი დოკუმენტები	927		44,780							
090	1.2.6 სათანადო ნაწილები	1,925		22,387							
100	1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები	70,670		86,468							
110	2. ძირითადი აქტივები	7,286,720		8,624		9,376					
120	2.1 შენობა-ნაგებობები	6,729,224									
130	2.1.1 საცხოვრებელი შენობები										
140	2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები	6,729,224									
240	2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	380,107		8,624		9,376					
250	2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები	249,281				9,376					
260	2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	130,826		8,624							
270	2.3 სხვა ძირითადი აქტივები	177,388									
280	2.3.1 კულტივირებული აქტივები										
290	2.3.2 არამატერიალური ძირითადი აქტივები	177,388									
310	3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	983		16,096							
320	4. ფასეულობები										
360	5. არაწარმოებული აქტივები										

ბალანსის დანართი ფორმა N5

სტრ. კოდი	გ ა ს ე ლ ა														ნაშთი წლის (პერიოდის ბოლოს)
	გაყიდვით	ბარტერით	არასაოპერა ციო ხარჯებით	აქციებისა და სხვა კაპიტალის სახით	ხელფასე ბი სასაქონ ლო ფორმით	სუბსი დიებ ით	გრანტ ებით	სოციალ ური დახმარე ბით	დანაკლ ისით	სხვა ხარჯები თ	საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა	ძირითადი კაპიტალის მოხმარება	საქონელი და მომსახურე ბა	სხვა გასავლები	
010			1,876										149,927		75,357
020															
030			1,875										149,927		75,357
080													44,780		928
090													22,387		1,925
100			1,875										82,759		72,503
110			1,533							91,589		183,831			7,027,766
120												70,107			6,659,117
130															
140												70,107			6,659,117
240			1,533									104,033			292,540
250												69,431			189,225
260			1,533									34,602			103,314
270										91,589		9,690			76,108
280															
290										91,589		9,690			76,108
300															
310													10,700		6,379
320															

ინფორმაცია არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის მონაცემებზე

ანალიზური აღრიცხვის მონაცემები																		
დასახელება	საანგარიშო პერიოდის დასაწყისში (რაოდენობა)		საანგარიშო პერიოდში მიღება				საანგარიშო პერიოდში გასვლა				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (საკასო)				საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯი (ფაქტიური)			
			შეძენა		სხვა სახით მიღება		ექსპლუატაც იიდან გასული		სხვა სახით გასული									
	რაოდენ ობა	ლირებ ულება	რაო დენ ობა	ლირ ებუ ლებ ა	რაო დენ ობა	ლირებ ულება	რაოდე ნობა	ლირებ ულებ ა	რაო დენო ბა	ლირებ ულება	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარი გო ნაწილები	სულ ხარჯი	მ.შ. შეკეთება	მ.შ. საწვავი	მ.შ.სათადარიგო ნაწილები
სატრანსპორტო საშუალება სულ:	12	249,281			2	9,376	2	49,965		69,431	74,026	5,398	46,782	21,846	74,026	5,398	46,782	21,846
მ.შ. მსუბუქი	12	249,281			2	9,376	2	49,965		69,431	74,026	5,398	46,782	21,846	74,026	5,398	46,782	21,846
ჯიშები და პიკაპები																		
სატვირთო																		